გუშინ, 1 მაისს, საბჭოთა ხალხმა და მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 87 (5117)

1974 წ. 2 მაისი, ხუთშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია მიგვიძღვის გამარჯვებებისკენ

● საპირველმაისო დემონსტრაცია წითელ მოედანზე ●

დიდი ზეიმი იყო საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში.

მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მხურვალე აპლოდისმენტებით მიესალმნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ავიდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ფ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი** და სხვები.

წითელ მოედანზე თითქმის ორ საათს გაგრძელდა საზეიმო მსვლელობა — პარტიისა და ხალხის ერთიანობის ამაღელვებელი დემონსტრაცია, რომელიც თითქოს კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ საბჭოთა ხალხი მზადაა თავდადებით იბრძოლოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რათა ღირსეული წვლილი შეიტანოს საბჭოთა ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

დემონსტრანტებს მოჰქონდათ საბჭოთა ხალხის შრომითი გამარჯვების ამსახველი ლოზუნგები, ტრანსპარანტები.

წითელ მოედანზე ფრიალებდა სპორტული დროშები. მწყობრი ნაბიჯებით მოდიოდნენ სახელოვანი საბჭოთა ათლეტები, რომლებსაც ბევრჯერ უსახელებიათ სამშობლო ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების სარბიელზე.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ერთგულია მშობლიური კომუნისტური პარტიისა. 1974 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია ამ ერთგულების კიდევ ერთი დადასტურება იყო.





სურათებზე: ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა კოლონები თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

დიადი, ურღვევი ერთიანობა

● თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაცია ●

პირველმა მაისმა სადღესასწაულო ალისფერი დროშებით, ხალისიანი ჟრიამულით აავსო ქუჩები. წითლად ელვარებენ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის დღესასწაულის სიმბოლოები: ნამგალი და ურო, გადაჭდობილი ხელები, აყვავილებული რტო... ჩვენი შრომა, ჩვენი მშვიდობა, ჩვენი მაისი.

... რუსთაველის პროსპექტი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის ფასადს ამშვენებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიდი პორტრეტი. ტრიბუნებზე ადგილები დაუკავებიათ კომუნისტური შრომის დამკვრელებს, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გენერლებსა და ოფიცრებს.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან **პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, პ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.** აქვე არიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. მ. ლელაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, ზ. ბ. გელდიაშვილი, ა. მ. ლაბახუა, ე. მ. ჯაფარიძე,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი **ა. გ. შელეპინი,** ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი **ა. გ. ვიქტოროვი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. თ. ლობჟანიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჟ. კ. შარტავა.**

იწყება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაცია. მას ხსნის ხუთწლედის დამკვრელთა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა ნაკრები კოლონა, რომლებიც არიან ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის შეჯიბრების ავანგარდში. თითოეულ მათგანს მკერდს უმშვენებს წითელი ლენტი, რომელზეც ოქროსფრად ელვარებენ სიტყვები: „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს".

არ წყდება სიმღერები, მუსიკა. რუსთაველის პროსპექტზე მოდიან დემონსტრანტთა კოლონები. ტრადიციისამებრ კოლონის თავში მოაბიჯებენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი. წლევანდელი პირველი მაისის დღეს ასეთი პატივი წილად ხვდათ ლენინის რაიონის მშრომელებს. ღრმად სიმბოლურია მათი შრომითი გამარჯვება. იგი წილად ხვდათ სწორედ იმ რაიონის მშრომელებს, რომლებიც არიან ბევრი პატრიოტული თაოსნობის ავტორები. საპირველმაისოდ ამ რაიონის წარმოების მუშაკებმა ბევრი წარმატება მოიპოვეს: წარმოების მოცულობის პირველი კვარტალის გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს.

ლენინის რაიონის, ქალაქის მოწინავე რაიონის სახელოვან მშრომელებს ღირსეული წვლილი შეაქვთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ჩაიარეს ოქტომბრის, კალინინის, კიროვის რაიონების, 26 კომისრის სახელობის რაიონის კოლონებმა... შრომაში მიღწევები მუდამ კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების დარგის მიღწევების გვერდითაა.

რუსთაველის პროსპექტზე შემოდის ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა რაიონის — საქარხნო რაიონის კოლონა. სახელოვანია ეს რაიონი. მის ტერიტორიაზე მდებარეობს ისეთი განთქმული საწარმო, როგორიცაა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, რომლის კოლექტივი დგას სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში.

კოლონებში არიან ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები. კვლავ გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებათა შთაგონებული სიტყვები.

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო სვლამ მკაფიოდ ცხადყო, რომ საქართველოს დედაქალაქის მშრომელები მზად არიან თავიანთი ძალღონე მოახმარონ ბრძოლას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის, სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისთვის.

რთველიაშვილი კვლავ პირველია

საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის ბოლო, VIII ეტაპზე თავი მოწყვეულმა ველოსიპედისტებმა გამოიჩინეს. 90-კილომეტრიანი დისტანცია (თბილისი — წითელი ხიდი და უკან) მოიგო სომხეთის I გუნდის წევრმა ვ. კარაპეტიანმა. ამ მანძილის გავლას მან 2:14.10 მოანდომა. II ადგილზე გავიდა პოლონელი ზ. სუიძკი — 2:14.41. III — გამარჯვებულის თანაგუნდელი ა. ჩერქეზიანი — 2:14.57.

რვა ეტაპის ჯამში რესპუბლიკური მრავალდღიანი ველორბოლის ჩემპიონი გახდა სპარტაკელი ი. რთველიაშვილი — 23:33.53. პირველ ეტაპებზე წარუმატებლობის მიუხედავად, მან შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ველორბოლის მეორე ნახევარში ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია. რთველიაშვილი დღესდღეობით უძლიერესი საგზატკეცილო ველოსიპედისტია ჩვენს რესპუბლიკაში და მისი ეს გამარჯვება სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

II ადგილი დაისაკუთრა „ბურევესტნიკის" წარმომადგენელმა დ. კობაიძემ (23:37.03), ხოლო III — მისმა თანაგუნდელმა ა. ხამუტოვმა (23:42.16), რომელიც პირველი ოთხი ეტაპის შემდეგ ლიდერი იყო და ავადმყოფობის გამო ჩამოსცილდა მთავარ მოვლენებს.

გუნდური გამარჯვება „ბურევესტნიკის" ნაკრებს ხვდა (მწვრთნელი ი. გოცირიძე) — 71:36.46. ბურევესტნიკელებმა მართლაც კარგად იასპარეზეს და დამსახურებულად მოიპოვეს გამარჯვება. ეს წარმატება მით უფრო საგულისხმოა, რომ სარბიელზე გამოდიოდნენ პოლონეთის ველოსიპედისტები და სომხეთის სამი გუნდი. „ბურევესტნიკმა" თითქმის 14 წუთი მოუგო მესამე პრიზიორს — სომხეთის I ნაკრებს და 22 წუთი — IV ადგილზე გასულ პოლონეთის გუნდს.

II ადგილზე კი „სპარტაკი" გავიდა, რაც ამ საზოგადოების ველოსიპედისტთა აშკარა წარმატებაა.

გამარჯვებული გუნდი ძირითადად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული. „ბურევესტნიკის" ღირსებას ამ ბრძოლაში იცავდნენ: დ. კობაიძე, რ. კობიაშვილი, ა. კოსტეცკი, ა. ხამუტოვი და მწვრთნელთა სკოლის აღსაზრდელი რ. წაქაძე.

მრავალდღიანმა ველორბოლამ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა, მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ვ. ალიბეგაშვილი, რომელიც მთელი რბოლის მანძილზე უძლიერესთა ათეულში იყო და ეს ადგილი ბოლო ეტაპზე დაცემის შემდეგ დაკარგა. უდავოდ პერსპექტიული ველოსიპედისტია რ. წაქაძეც, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ჯერჯერობით გამოცდილება აკლია. საგზატკეცილო ველოსპორტში კი დიდი მნიშვნელობა აქვს გავლილი კილომეტრების რაოდენობას.

ს. ფცქიალაძე.

ორი მატჩი, ორი გამარჯვება

მოსკოვი, 30 აპრილი. სსრ კავშირის დედაქალაქში სტუმრად იყო ბელგრადის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი. იუგოსლაველმა სპორტსმენებმა ჩაატარეს ორი შეხვედრა მოსკოველ კოლეგებთან. პირველი მატჩი, რომელიც გუშინ გაიმართა, მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 8:7.

მეორე დღეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი პერიოდი მოსკოველთა სასარგებლოდ დამთავრდა — 1:0. წუთშესვენების შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა. დარჩენილ დროში მეტოქეებმა 4-4 ბურთი გაიტანეს და შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ დამთავრდა — 5:4. აღსანიშნავია, რომ ბელგრადის გუნდში გამოდიოდა იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების 5 წყალბურთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტარტი — წყალზე, ფინიში — ღრუბლებში

იგი მცხეთაში დაიბადა და გაიზარდა. ტოლებთან ერთად სწავლობდა სკოლაში, თამაშობდა, ცურავდა, კოშკიდან ხტებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად, ისევე როგორც მცხეთელი ბიჭების უმრავლესობას, ნიჩბოსნობა უყვარდა. მცხეთის სანიჩბოსნო სადგურში გატარებულ დღეებს უქმად არ ჩაუვლია. 60-ანი წლებიდან სანიჩბოსნო სპორტის ამ „ეპიცენტრმა" რესპუბლიკას ბევრი შესანიშნავი ნიჩბოსანი მისცა. და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ახალგაზრდა თენგიზ შალიბაშვილიც ზაიდარამ გაიტაცა. ასეთი იყო ტრადიცია.

წვრთნაში რამდენიმე თვემ გაიარა. მერე კი ყველასთვის უცნობმა ახალბედამ პირველ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ორ დისტანციაზე გაიმარჯვა.

1949 წლიდან თენგიზ შალიბაშვილმა 22-ჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა ერთადგილიანი თუ ორადგილიანი ზაიდარებით შეჯიბრებებში, ესტაფეტაში. მერე ნაკრების მწვრთნელადაც დაინიშნა, მაგრამ აქ მისი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

...სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე ცოტა ხნით ადრე ნატახტრის მისადგომებთან საგზატკეცილო მოტორბოლა ჩატარდა. ძრავების გუგუნზე მარტო მცხეთელებმა კი არა, მეზობელი სოფლების მცხოვრებლებმაც მოიყარეს თავი. თენგიზიც იქ გაჩნდა. რა იცოდა, თუ ეს შეჯიბრება მის სპორტულ ცხოვრებას ძირფესვიანად შეცვლიდა.

საქართველოს საუკეთესო მრბოლელების თ. ჩხაიძის, ქ. ცალქალამანიძის, ე. გრიგორიანის, გ. კულუმბეგაშვილისა და სხვათა ოსტატობამ თენგიზს თავბრუ დაახვია. აი თურმე რა ყოფილა ნამდვილი ვაჟკაცური სპორტი, სად ყოფილა სისწრაფე, რისკი, ოსტატობა...

ერთი სიტყვით, თენგიზმა მალე სპორტის ოსტატ კონსტანტინე ცალქალამანიძესთან დაიწყო ვარჯიში. ძრავის გუგუნი, ყურებში ქარის წივილი დიდი სისწრაფით რბოლის დროს, ურთულესი ტრასები მის მეორე ცხოვრებად იქცა.

საქმის ერთგულ, ფანატიკურად მოყვარულ ადამიანებს წარმატებისთვის დიდხანს ცდა არ სჭირდებათ, უკვე 1957 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სპარტაკიადაში თენგიზ შალიბაშვილმა ჩემპიონობა მოიპოვა და სპორტის ოსტატიც გახდა. 1958 წელს მრავალ სიგელებისა და დიპლომების კოლექციას დაემატა კიდევ ერთი დიდი ჯილდო — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

სპორტის მოყვარულებს ახსოვთ ტექნიკურ სახეობათა მასობრივი აღმავლობა 60-ანი წლების მიწურულს. იმ სტარტებმა თ. შალიბაშვილს „დინამოს", ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, დოსააფის, თბილისის, რესპუბლიკის ჩემპიონობა და პრიზიორობა მოუტანა. ამას მოჰყვა წარმატება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში, სპორტის ტექნიკურ სახეობათა სპარტაკიადებში, დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პირველობებში...

მრავალდღიანი რბოლები, მოტოკროსი, სამოტოციკლო მრავალჭიდი — ასეთი იყო ოსტატის დიაპაზონი.

სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან ამ ჭეშმარიტი მებრძოლის შეუპოვარი ხასიათი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამოსულა შალიბაშვილი გამარჯვებული თითქოს გამოუვალი მდგომარეობიდან, რამდენჯერ მოუპოვებია პირველობა ისეთ ვითარებაში, სადაც სხვები ხელს ჩაიქნევდნენ და დისტანციას მიატოვებდნენ.

...ახლა კი გიამბობთ, როგორ იმოგზაურა თენგიზმა ღრუბლებში. არა, თვითმფრინავით მგზავრობაზე არა გვაქვს ლაპარაკი. 1967 წელს იგი თავისმა შეუპოვარმა ხასიათმა მოტოციკლით აიყვანა ღრუბლებში, იქ, სადაც მანამდე არც ერთი სახის ტრანსპორტს არ ევლო. ეს ექსპერიმენტი მსოფლიოში პირველი იყო და წარმატებითაც დაგვირგვინდა. თ. შალიბაშვილმა თავის მეგობრებთან ა. ბერბერაშვილთან და ი. რომანოვთან ერთად გადალახა კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილი დონღუზორუნი, რომელიც ზღვის დონიდან 3200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ეს ასვლა მაღალმთიანი გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სამუშაოთა გეგმის ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა მთის პირობებში მექანიზებული ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობათა შესწავლას. ენთუზიასტებს ახლდათ დამხმარე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. კახიანი.

სპორტსმენებმა გადალახეს ბობოქარი მთის მდინარეები, კლდოვანი აღმართ-დაღმართები, მორენის მონაკვეთები, ყინვართა ფირნის ენები. 12 საათში 30 კილომეტრი გაიარეს (ესაა გზა იალბუზის მისადგომებიდან სვანეთის სოფელ ნაკრამდე). ამ უჩვეულო ასვლის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. აშშ-ს, გფრ-ის, იაპონიის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის სპორტულმა ჟურნალებმა ფერადი ფოტონარკვევები დაბეჭდეს.

თენგიზ შალიბაშვილი უკვე რამდენიმე წელია ჩამოშორდა სპორტს. ახლა იგი თბილისის მე-2 მსუბუქი ავტომანქანების საწარმოში ტაქსის შოფერად მუშაობს და საწარმოო გეგმებს 103-105 პროცენტით ასრულებს. მანქანის საჭე საიმედო ხელშია. სპორტულ სარბიელზე შეძენილი თვისებები თენგიზს ყოველდღიურ მუშაობაშიც დიდად უწყობს ხელს.

მაგრამ განა ჩამოშორდა კი სპორტს? არა, თვითონ აღარ გამოდის სარბიელზე, თორემ ისე სამოტოციკლო სპორტში საქართველოს ნაკრების საზოგადოებრივი მწვრთნელია. მისი გუნდი აგერ უკვე მეოთხე წელია არ თმობს საკავშირო პირველობის პრიზიორის სახელს. ამ გუნდიდან რამდენიმე ახალგაზრდა მრბოლელი ქვეყნის ნაკრების კანდიდატია.

შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა, სიმამაცე, ამხანაგობის გრძნობა და სპორტისადმი მუდმივი, ფანატიკური სიყვარული — აი, ასე შეიძლება დაიხატოს დღეს შესანიშნავი ქართველი სპორტსმენის თენგიზ შალიბაშვილის პორტრეტი.

გ. კოვალიოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათებზე: დონღუზ-ორუნის შტურმი. წინა პლანზე — თ. შალიბაშვილი; ტაქსის საჭესთან.
ბ. ელინის ფოტოები.





[illegible]

თბილისი

დამთავრდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ჭაბუკ მოჭადრაკეთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 სპორტსმენი. ზ. აზმაიფარაშვილმა და გ. ხაილენკომ (ორივე — თბილისი) 5-5 ქულა მოაგროვეს. I ადგილი აზმაიფარაშვილს მიეკუთვნა, ვინაიდან კოეფიციენტთა ცხრილით მას უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. III ადგილზეა ზ. გოთუა (ბათუმი) —3,5. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ მოჭადრაკეთა შეჯიბრებაზე ხაილენკო გაემგზავრა, ვინაიდან აზმაიფარაშვილი საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობაში მონაწილეობს.

ნ. ინასაშვილი.

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

იმრავლოს მათმა რიგებმა

საქართველოს სპორტსმენებს აკადემიურ ნიჩბოსნობაში ზედიზედ ორი დიდი ტურნირი ჰქონდათ — შავი ზღვისა და მინგეჩაურის ტრადიციული რეგატები. სეზონის ამ პირველ შეჯიბრებებში სპორტსმენთა ფიზიკური და ტექნიკური მზადყოფნა შემოწმდა. ძალების დათვალიერებამ ძირითადად დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, სპორტის ოსტატთა რიგებს კი ორი კაცი შეემატა. ეს დასაწყისისთვის კარგია.

შავი ზღვის რეგატაში, რომელიც ფოთში გაიმართა, მონაწილეობდნენ საქართველოს და თურქმენეთის ნაკრები გუნდები, გორკის „სპარტაკის", აგრეთვე, თბილისის „ბურევესტნიკის", ფოთის „ვოდნიკისა" და მცხეთის „სპარტაკის" ეკიპაჟები.

თავდაპირველად, სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადების შემოწმების მიზნით, გრძელ დისტანციებზე რბოლა ჩატარდა. ქალები ძალებს ცდიდნენ 2000, ხოლო ვაჟები — 4000 მეტრზე. მერე კი პირველობა კლასიკურ დისტანციებზე — შესაბამისად 1000 და 2000 მეტრზე გათამაშდა.

მასპინძლები, საქართველოს ნიჩბოსნები, ამ შეჯიბრებაში ცუდად არ გამოსულან. მაგალითად, ქალებმა როგორც პირველ, ისე მეორე დღეს 6-6 კლასის ნავებით იასპარეზეს და 3-3 სახეობაში პირველობა მოიპოვეს. ვაჟებმა კი შვიდი გაცურვიდან ექვსში გამარჯვება დაისაკუთრეს.

ქალთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს ნაკრების წევრმა, ქუთაისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ც. ალავიძემ („დინამო"). მან ჯერ 2000 მეტრზე რბოლა მოიგო, მეორე დღეს კი 1000 მეტრზე ასპარეზობაშიც იმარჯვა — შვიდ მეტოქესთან დავაში 4.18,2 აჩვენა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ალავიძემ სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი, გორკელი სპორტის ოსტატი ი. ბარიშევა 2,5 წამით ჩამოიტოვა, III ადგილზე გასულ სპორტის ოსტატ ლ. კრავჩენკოს (თურქმენეთი) კი 5,4 წამი მოუგო.

ჩვენი სპორტსმენებიდან კლასიკურ დისტანციაზე პირველობა დაისაკუთრეს, აგრეთვე, გასაშლელი უმესაჭო ორადგილიანით მოასპარეზე სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ლ. კახურაშვილმა და მ. გვრიტიშვილმა (ორივე — თბილისი, „ბურევესტნიკი") — 4.08,0 და რვაადგილიანმა (მენიჩბე ნ. დალაქიშვილი), რომლის შედეგიცაა 3.32,0 (ამ ნავით გამოდიოდა ექვსი განთიადელი, აგრეთვე, „სპარტაკის" და „ვოდნიკის" თითო ნიჩბოსანი).

სტუმართაგან კარგად იასპარეზეს გორკელმა სპორტის ოსტატებმა, მესაჭიანი ოთხადგილიანი გასაშლელის (მენიჩბე ვ. ბელევიჩი) — 4.13,1, წყვილმოსასმელიანი ორადგილიანის (ე. ბარიშევა) — 4.06,0 და წყვილმოსასმელიანი ოთხადგილიანის (მ. კნიაჟიშჩე) — 3.51,8 ეკიპაჟების წევრებმა.

ვაჟთა შორის თავი განსაკუთრებით გამოიჩინა საქართველოს ნაკრების წევრმა ვ. აბაზაძემ (ქუთაისი, „დინამო"). იგი ერთადგილიანებით 4000 მეტრზე რბოლაშიც ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა (14.27,7) და 2000 მეტრზე შეჯიბრებაც მოიგო (7.28,5). აბაზაძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა. II ადგილზეა ა. შუშინი (გორკი) — 7.35,6, III — ა. კომაროვი (თურქმენეთი, „ხაზმეტი") — 7.37,7.

საქართველოს ნაკრებმა იმარჯვა მესაჭიანი ოთხადგილიანი გასაშლელით ორივე რბოლაში. დიდ დისტანციაზე იმ ეკიპაჟმა, რომლის მენიჩბეც გ. მამულაშვილი იყო, 13.32,5 აჩვენა, 2000 მეტრზე კი თბილისის არმიელთა სპორტკლუბის წარმომადგენლებით (ი. თათარაშვილი, თ. ჯანჯღავა, თ. ცინცაძე, ი. ბობოხიძე, მესაჭე ა. ოდილაძე) დაკომპლექტებულმა კოლექტივმა (6.38,6). თურქმენეთის გუნდი (მენიჩბე ვ. ანდრონოვი) მათ 17,2 წამით ჩამორჩა.

მონაწილეთა მხრივ ყველაზე მცირერიცხოვანი ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრება იყო. სტარტზე სამი ნავი დადგა. ორივეჯერ პირველობა მოიპოვეს საქართველოს ნაკრების წევრებმა, სპორტის ოსტატებმა დ. ლოლუამ და ვ. გეგეჭკორმა (ორივე — თბილისის ასკ).

ფოთში სხვა კლასის ნავებით კლასიკურ დისტანციაზე რბოლაში გაიმარჯვეს: უმესაჭო ორადგილიანი გასაშლელით — გორკის დუეტმა — 6.58,8 (საქართველოს გუნდი ა. არჩაიას და ს. კუდუხოვის შემადგენლობით II ადგილზე გავიდა — 7.11,0), ორადგილიანი მესაჭიანი გასაშლელით — საქართველოს ნაკრებმა — 7.31,3, უმესაჭო გასაშლელი ოთხადგილიანით — ასევე საქართველოს გუნდმა — 7.13,2, ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანით — გორკის კვარტეტმა — 6.16,4 (საქართველოს გუნდი ფინიშთან მეორე იყო — 6.30,9), რვაადგილიანით — საქართველოს ნაკრებმა (მესაჭე — ნ. ნახყიდაშვილი) — 6.45,9.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნიჩბოსნებისთვის შავი ზღვის რეგატის სტარტები იღბლიანი გამოდგა.

ვაჟთა კოლექტივი ფოთიდან მინგეჩაურს გაემგზავრა. ამ საკავშირო ზონალურ რეგატაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, აზერბაიჯანის (3), ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და სომხეთის კოლექტივები. შეჯიბრების შედეგებზე გვესაუბრა საქართველოს ვაჟთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. ბერელიძე:

— პროგრამით რბოლები 2, 4 და 8 კილომეტრზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ძლიერმა ქარმა და უამინდობამ პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა — 4 და 8-კილომეტრიანი დისტანციები მოიხსნა.

საქართველოს გუნდს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია, თავი არ შეურცხვენია. ერთადგილიანებით ასპარეზობაში 18 ნავი გამოდიოდა. აბაზაძემ შესანიშნავად იასპარეზა: ჯერ ნახევარფინალური შეჯიბრება მოიგო, მერე ფინალშიც ყველა მეტოქეს აჯობა და ერთ თვეში სპორტის ოსტატის ნორმატივი მეორედ შეასრულა.

შინ გამარჯვებული დაბრუნდა, აგრეთვე, საქართველოს მესაჭიანი ორადგილიანი გასაშლელი ნავის ეკიპაჟიც, რომლის შემადგენლობაში მერძენიშვილი, შიოშვილი და მესაჭე გეგეჭკორი იყვნენ.

მათ არც უმესაჭო გასაშლელი ოთხადგილიანის ეკიპაჟი ჩამორჩა. ფინალში 6 ნავი მონაწილეობდა. იმნაძემ, დიხამინჯიამ, მესხმა და ურიდიამ ყველა მეტოქეს აჯობეს.

ჩვენმა ნიჩბოსნებმა სამი კლასის ნავებით ასპარეზობაში მეორე ადგილები დაიკავეს და სამივეჯერ აზერბაიჯანის გუნდებთან წააგეს. უმესაჭო ორადგილიანით არჩაია და კუდუხოვი გამოდიოდნენ, ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით — გეგეჭკორი და ლოლუა. რვაადგილიანი, რომლის მესაჭეც ბერიძე იყო, აზერბაიჯანის ოქტეტს სულ მცირე მანძილით ჩამორჩა.

საქართველოს კოლექტივი (მენიჩბე თათარაშვილი) მხოლოდ მესაჭიანი ოთხადგილიანებით რბოლაში დახვდა III ადგილს, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის წარმომადგენლებს ჩამორჩა. რაც შეეხება ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრებას, აქ ეკიპაჟი არ გვყავდა. მიზეზი? ინვენტარის უქონლობის გამო გუნდის მომზადება ვერ შევძელით. რაკი სიტყვა ინვენტარზე ჩამოვარდა, აღვნიშნავ, რომ ამ მხრივ საქართველოს ნაკრებსაც კი სანუგეშო მდგომარეობა როდი აქვს. გუნდს დაკვეთით დამზადებული ინვენტარის ერთი კომპლექტი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს. ნიჩბებითაც ძალიან ცუდად გვამარაგებენ. რაც გვაქვს, ისიც უვარგისია, ძალიან დრეკადია.

● **როგორია გუნდის პერსპექტივა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში?**

— ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მანამდე თხუთმეტი თვეა. თუ ფიზკულტურის რესპუბლიკური და საქალაქო კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები და უწყებები სათანადოდ დაგვეხმარებიან, ბევრი ნაკლის გამოსწორება შეიძლება. წლეულს ძალებს ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში, ქვეყნის ჩემპიონატში, სხვადასხვა რანგის რეგატებში შევამოწმებთ.

ისე კი სსრ კავშირის ნაკრებში უკვე ორი თბილისელი სტუდენტია: ნიკურაძე რვაადგილიანით გამოდის, ქაფიანიძე — მესაჭიანი ოთხადგილიანით. ორი სპორტსმენი პროფკავშირების საკავშირო ნაკრებშია ჩარიცხული: ფილიევი (თბილისი, „ბურევესტნიკი") და პატარაია (ფოთი, „ვოდნიკი").

● **რა გეგმები გაქვთ წლეულს?**

— 17-19 მაისს მინგეჩაურში საკავშირო ზონალურ ტურნირში წარმატებით გამოსვლა, II ლიგის კოლექტივების შეჯიბრებაში გამარჯვება და უმაღლეს ლიგაში გადასვლა, ვინაიდან ხალხთა სპარტაკიადაში ცალკეულ კლასებში პირველი ლიგის ნავით გამარჯვება 30 ქულას იძლევა, მეორე ლიგის ნავით გამარჯვება მხოლოდ 15-ს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სპარტაკიადაში საასპარეზოდ მხოლოდ სპორტის ოსტატებითა და სპორტის ოსტატობის კანდიდატებით დაკომპლექტებული გუნდები დაიშვებიან. ესეც ბევრს გვავალებს.

რ. მაღრაძე.

ფეხბურთი

საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება

ხარკოვი, 30 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი. ითამაშეს სსრ კავშირისა და უნგრეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდებმა. შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 2:0 (1:0). გოლები გაიტანეს ბურიაკმა და უიფიანმა.

საპასუხო შეხვედრა გაიმართება 7 მაისს.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

პირველი ჯგუფი

● ასკ (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 0:1. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

არმიელებს საერთო უპირატესობაც საგრძნობი ჰქონდათ და ბურთის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ შეძლეს ხელსაყრელ შესაძლებლობათა გამოყენება. სამაგიეროდ, ოჩამჩირელმა დარასელიამ, რომელიც შემცვლელად გამოვიდა მინდორზე მე-60 წუთზე, იმავე წუთს აიღო მეტოქის კარი და ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიიღო ოჩამჩირელმა გ. გოგოლაშვილმა.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მალაროელი" (ტყიბული) 1:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

● „კოლხეთი" (ხობი) — „კახეთი" (თელავი) 2:2. მსაჯი ვ. ჩიხურდანიძე (ბათუმი).

ხობელთა მხრივ ბურთები გაიტანეს სერგიამ და გვასალიამ, ხოლო „კახეთიდან" — ჩაველაშვილმა და ცირეკიძემ.

● „განთიადი" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილებულია თბილისელი გ. გოცირიძე.

● „სულორი" (ვანი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს (შ. ლორთქიფანიძე) და შემდგომშიც ბევრს უტევდნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს კონტრიერიშზე მყოფმა სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (ფართლაძე).

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

გოლი, რომელმაც წარმატება მოუტანა ლოკომოტიველებს, 61-ე წუთზე გაიტანა სანაძემ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებული არიან ცხაკაიელები ო. ქაჩიბაია და ვ. სახოკია.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ივერია" (ხაშური) 3:1. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).

ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა ქობულეთელმა დიმანოვმა. მცირე ხანს შემდეგ კობერიძემ გაქვითა გოლი, შესვენების მერე კი კვიტაიშვილისა და მელნიკოვის ზუსტი დარტყმების შემდეგ გამარჯვება „შუქურას" დარჩა.

● „მეშახტე" (ტყიბული) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

სტუდენტებს გამარჯვება მოუტანა ლამბაროვის მიერ მეორე ტაიმში გატანილმა ბურთმა.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 4:3. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან ცხინვალელი თ. ძაგოევი და გორელი ჯ. მარღიშვილი.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ.	6	3	3	0	8—2	9
„მეტალურგი" (რუსთავი)	6	3	3	0	7—1	9
ასკ (თბილისი)	6	3	2	1	10—3	8
„ლოკომოტივი"	6	3	2	1	10—5	8
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	6	3	2	1	8—5	8
„მაღაროელი"	6	3	1	2	6—3	7
„კახეთი"	6	3	1	2	10—9	7
„სალხინო"	6	1	4	1	3—2	7
„ამირანი"	6	3	1	2	4—4	7
„კოლხეთი"	6	1	4	1	5—4	6
„დინამო" (სოხ.)	6	1	3	2	7—4	5
„ქართლი"	5	2	1	2	9—11	5
„ეგრისი"	6	2	1	3	5—7	5
„განთიადი"	6	1	3	2	4—6	5
„ვარძია"	6	2	1	3	7—14	5
„მეშახტე"	6	1	2	3	6—9	4
„სპარტაკი"	6	1	2	3	7—11	4
„სულორი"	6	1	2	3	4—11	4
„შუქურა"	5	1	1	3	4—5	3
„ივერია"	6	1	0	5	4—14	2

მეორე ჯგუფი

I ზონა

„ყინწვისი" (ქარელი) — „კოლმეურნე" (ბორჯომი) 2:0, „არაგვი" (დუშეთი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1, „განთიადი" (კასპი) — „განახლება" (ადიგენი) 1:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:2, „მადნეული" (ბოლნისი) — „სამცხე" (აწყური) 5:2, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ციხკარი" (სიღნაღი) 6:1.

II ზონა

„კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 2:4, „კოლმეურნე" (გულრიფში) — „მზიური" (გალი) 0:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „განთიადი" (აბაშა) 3:0, „იმერეთი" (თერჯოლა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:1, „სქური" (წალენჯიხა) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 5:3.

გათამაშების ცხრილები

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დურუჯი" (ყვარელი)	4	3	1	0	11—3	7
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	4	2	2	0	11—6	6
„განახლება" (ადიგენი)	4	2	2	0	4—2	6
„არაგვი" (დუშეთი)	4	2	1	1	4—2	5
„ალაზანი" (გურჯაანი)	3	1	2	0	8—3	4
„მესხეთი" (ახალციხე)	4	2	0	2	10—6	4
„მადნეული" (ბოლნისი)	3	1	2	0	5—2	4
„განთიადი" (კასპი)	4	1	1	2	6—8	3
„ყინწვისი" (ქარელი)	4	1	1	2	3—8	3
„ციხკარი" (სიღნაღი)	4	1	1	2	3—11	3
„კოლმეურნე" (ბორჯომი)	3	1	0	2	7—5	2
„სამცხე" (აწყური)	4	0	1	3	5—11	1
„რუბეროიდი" (გარდაბანი)	3	0	0	3	2—12	0

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იმერეთი" (თერჯოლა)	4	2	2	0	9—4	6
„კოლმეურნე" (წულუკიძე)	3	2	1	0	8—3	5
„სამგურალი" (წყალტუბო)	4	1	3	0	8—5	5
„გიგანტი" (ლაითური)	3	1	2	0	5—1	4
„კოლმეურნე" (გულრიფში)	3	1	2	0	2—0	4
„სქური" (წალენჯიხა)	4	1	2	1	8—7	4
„მზიური" (გალი)	3	0	3	0	1—1	3
ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია)	4	1	1	2	6—8	3
„ბახმარო" (ჩოხატაური)	4	0	3	1	4—7	3
„განთიადი" (აბაშა)	4	1	1	2	1—7	3
„კოლმეურნე" (ლანჩხუთი)	3	0	1	2	3—7	1
„ჩიხურა" (საჩხერე)	3	0	1	2	1—6	1

ჭადრაკი

როცა თამაში განახლდა

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. ე. უბილავა — ე. გუფელდი 0,5:0,5, ე. მიქაელიანი — ზ. მიქაძე 0:1, ა. ბუსლაევი (ხუთივე — თბილისი)— ჯ. ბერაძე (წყალტუბო) 1:0, გ. ზაიჩიკი (თბილისი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 1:0.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ მიქაძე — 3,5 ქულა, გუფელდი — 3, ბუსლაევი, კალატოზიშვილი, მიქაელიანი და უბილავა — 2,5-2,5.

თამაშის განახლებისას გუფელდმა ეტლები გაცვალა და მეფით თეთრ პაიკებთან მიიჭრა. პოზიცია გათანაბრდა და ყაიმი სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო.

მწვავე ენდშპილში მიქაძეს კუში ოთხი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მიქაელიანი ხელს უშლიდა მათს წინსვლას. პაიკთა დამუხრუჭებისთვის მან არაფერი დაიშურა. ბოლოს მიქაძემ მაინც აამოძრავა ლაზიერის ფრთის პაიკები. მიქაელიანი იძულებული შეიქნა მათში კუ დაეთმო. მერე მოგება ძნელი აღარ იყო. 58-ე სვლაზე მიქაელიანმა ფარ-ხმალი დაყარა.

ბუსლაევ—ბერაძის პარტიაში სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილი შეიქმნა. ოღონდ მეტოქეებს კიდევ თითო ეტლი ჰქონდათ. მსგავს ენდშპილში სწორედ ეტლის შემწეობით შეიძლება მოგებაზე თამაში. ბუსლაევის კარგად დაცული გამსვლელი პაიკი შესამჩნევად ზღუდავდა ბერაძის ფიგურების მოძრაობას. პაიკის მარჯვე შეწირვით ბუსლაევმა მოსაგები პოზიცია მიიღო და გაიმარჯვა.

ზაიჩიკმა და ნეურონოვმა II ტურიდან გამოტოვებული პარტია ითამაშეს. ახალგაზრდა თბილისელმა კარგად წარმართა ბრძოლა, რომელიც ძველინდური დაცვით დაიწყო. შუა პარტიაში მან იერიში განავითარა, რამაც მოგების წინაპირობა შექმნა.

* * *

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. მ. კალანდაძე — ც. კობაიძე 0:1, ქ. გაჩეჩილაძე — ნ. გურიელი 0,5:0,5, ე. ბაშინურიძე — [illegible] 0,5:0,5, მ. მამისთვალოვა — ვ. კუპრაშვილი 0,5:0,5.

4 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ა. ჩაიკოვსკაია, კობაიძე — 3,5-3,5 ქულა, გაჩეჩილაძე, ნ. იოსელიანი, თ. ხუგაშვილი (ყველა — თბილისი), ნ. ზუბულური (ონი) — 3-3, გურიელი, წერეთელი, ბაშინურიძე — 2,5-2,5.

ხუთიოდე სვლაში კალანდაძე დარწმუნდა თავისი პოზიციის უიმედობაში და კობაიძეს გამარჯვება მიულოცა. ბაშინურიძემ და წერეთელმა საშინაო ანალიზით დაადგინეს, რომ მოგების შანსი არც ერთს არ ჰქონდა, ამიტომ დაზავდნენ. გაჩეჩილაძემ და გურიელმა ცოტა ხანს ითამაშეს. უპირატესობას ვერც ერთმა რომ ვერ მიაღწია, 55-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

თითქმის მთელი საღამო გრძელდებოდა III ტურიდან გამოტოვებული მ. მამისთვალოვა — ვ. კუპრაშვილის პარტია. ერთ მომენტში მეტოქეებმა თითქოს აქტიური თამაში წამოიწყეს ლაზიერის ფრთაზე, მაგრამ გართულებებზე მალე აიღეს ხელი და მშვიდობიან ნავსაყუდელს მიადგნენ.

თ. ნინოშვილი.

კორჩნოი ფინალში გავიდა

ოდესა, 30 აპრილი. საბჭოთა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მებრძოლთაგან პირველმა მოიპოვა ფინალში გასვლის უფლება.

დღეს კორჩნოის მიეკუთვნა გამარჯვება პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში, როცა ანგარიში იყო 3:1 მის სასარგებლოდ. კორჩნოის აკლდა მეოთხე მოგება, მაგრამ მისმა მეტოქემ, დიდოსტატმა ტ. პეტროსიანმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო მატჩის გაგრძელება.

ახალი ფავორიტების ძებნაში

რა მიზანს ისახავს სპრინტერთა საკავშირო ჩემპიონატის ეტაპებად დაყოფა? სპეციალისტთა აზრით, ველოსიპედისტი ფორმაში უნდა იყოს მთელი სეზონის მანძილზე, ძველი სისტემა კი მას ამის საშუალებას არ აძლევდა.

სხვათა შორის, მთელი წლის განმავლობაში ველოსიპედზე არიან ამხედრებული უცხოელი სპრინტერებიც, მაგრამ იქ ასპარეზობათა სფერო და გეოგრაფია გაცილებით მრავალმხრივია. მსოფლიოს ჩემპიონი დ. მორელონი, მაგალითად, ერთთავად თვითმფრინავშია და, დღეს რომ პარიზში იასპარეზებს, ხვალ მილანში გამოდის, ზეგ კი — კოპენჰაგენში... მთელი წლის მანძილზე ფორმაში ყოფნა, ცხადია, სტაბილური შედეგების ჩვენების მეტ საშუალებას იძლევა. ამიტომაც მისასალმებელია პირველი ნაბიჯები, რომლებიც სსრ კავშირის ველოსპორტის ფედერაციამ გადადგა ამ მიმართულებით.

სპრინტერთა ჩემპიონატის პირველი ეტაპი ლენინაბადში ჩატარდა და ბევრი მოულოდნელობაც მოგვიტანა. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ს. კრავცოვი (ხარკოვი) მხოლოდ XII ადგილზე გავიდა. კიდევ უფრო დაბალი შედეგი აჩვენა ა. იაბლუნოვსკიმ (კიშინიოვი) — იგი პირველი ეტაპის შემდეგ XVI ადგილზე იყო. შედარებით უკეთ გამოვიდა ლენინგრადში მესამე ფავორიტი ვ. ტრიფონოვი (კუიბიშევი), მაგრამ არც VIII ადგილი შეეფარდება ამ სპორტსმენის რეალურ შესაძლებლობებს.

I ეტაპი დამაჯერებლად მოიგო ტულელმა ვ. კოპილოვმა. მან ქულათა საკმაოდ მტკიცე მარაგი დააგროვა და უძლიერესთა ბრძოლას სათავეში მოექცა. მაგრამ კოპილოვის გამარჯვება თბილისში პირველი სტარტებიდანვე საეჭვო გახდა.

ჯერ კიდევ წინასწარმა სერიებმა ცხადყო, რომ კრავცოვიცა და იაბლუნოვსკიც სერიოზულად მოემზადნენ ამ შეჯიბრებისთვის და იოლად არ დათმობდნენ გამარჯვებას. მაგრამ ფარ-ხმალი არც კოპილოვს დაუყრია. იგიც საკმაოდ ადვილად მოხვდა უძლიერესთა ექვსეულში, რომელსაც ბოლოს და ბოლოს უნდა დაესახელებინა უძლიერესი.

ექვსეულში გავიდნენ, ასევე, ვ. ტრიფონოვი, ვ. კუდრიაშევი (აშხაბადი) და ა. ვორონინი (მოსკოვი). ამ ექვსეულის მიმართ, ცხადია, პრეტენზია არავის აქვს, მაგრამ საგულისხმოა, რომ პირველი ეტაპის პრიზიორთაგან კოპილოვის მეტი ვერავინ ამაღლდა ექვსეულის დონემდე. კერძოდ, წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ გამოეთიშნენ მთავარ ბრძოლებს ლენინაბადის ტურის მეორე და მესამე პრიზიორები ს. კამელკოვი (მოსკოვი) და ვ. ნემჩენკო (სვერდლოვსკი).

სუსტად იასპარეზა თბილისში საქართველოს წარმომადგენელმა ი. ვოლკოვმაც. ლენინაბადში იგი მეოთხე იყო, II ეტაპმა კი მხოლოდ XIV ადგილი მოუტანა. როგორც ჩანს, სპორტული ფორმის შენარჩუნებას და ძალების თანაბრად განაწილებას სეზონის განმავლობაში მხოლოდ შეჯიბრებათა სიმრავლით ვერ მივაღწევთ. აქ გარკვეული როლი უნდა ითამაშოს სპორტსმენის შეგნებამ და მისმა ინდივიდუალურმა მონდომებამ, პასუხისმგებლობამ.

უძლიერესთა ექვსეულის პირველივე სტარტებმა ნათელყო, რომ კრავცოვიცა და იაბლუნოვსკიც სერიოზულად იყვნენ განწყობილნი. პირველმა იოლად მოიგო სერია, რომელშიც ვორონინი და კოპილოვი გამოდიოდნენ (თანაც, ბოლო 200 მეტრზე საკმაოდ მაღალი შედეგი — 10,8 აჩვენა). მეორემ კი ძალების დაუძაბავად დაამარცხა ტრიფონოვი და კუდრიაშოვი.

ტრიფონოვს ერთხელ კიდევ მიეცა მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ იმედის სერიაშიც დამარცხდა და პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მიიღო კოპილოვმა. მეორე ნახევარფინალისტი ვორონინ—კუდრიაშოვის იმედის სერიამ დაასახელა. გაიმარჯვა ვორონინმა.

ნახევარფინალებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. იაბლუნოვსკიმ ორჯერ მოუგო ვორონინს (თანაც, სერიაში აჩვენა საუკეთესო დრო — 10,7), ხოლო კრავცოვმა — კოპილოვს.

ფინალურ შეხვედრებს წინ უსწრებდა ბრძოლა ბრინჯაოს მცირე მედლისთვის. იგი კოპილოვმა მოიგო.

საინტერესო გამოდგა თბილისის ტურის მთავარი სტარტები — ფინალური პაექრობა კრავცოვსა და იაბლუნოვსკის შორის. პირველი სერია კრავცოვმა მოიგო, მეორე სერიაში კი წესის დარღვევისთვის დამარცხება ჩაეთვალა. ოქროს მცირე მედლის ბედი III სერიაში გადაწყდა. კრავცოვი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა და გაიმარჯვა.

მაშ ასე, თუ I ეტაპზე თავი კოპილოვმა გამოიჩინა, II ეტაპზე საუკეთესო კრავცოვი იყო. სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს გამოავლენს III ეტაპი, რომელიც ივლისში ერევანში მოეწყობა. ლიდერობას ჯერჯერობით კოპილოვი ინარჩუნებს, რომელიც ლენინაბადში პირველი იყო, თბილისში კი — მესამე.

ასეა თუ ისე, წლეულს საბჭოთა სპრინტს სათავეში ჩაუდგება ახალი ფავორიტი, ვინაიდან ძველმა — სსრ კავშირის ათგზისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ ესტაფეტა ახალგაზრდებს გადასცა. 10 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ველოსტადიონებზე განუკითხავად ბატონობდა ფხაკაძე. ახლა მთავარია, რომ მისი გზა რომელიმე ღირსეულმა გააგრძელოს. რამდენად შესწევთ ახალგაზრდებს ამის უნარი, მომავალი გვიჩვენებს.

ნ. ახვლედიანი.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი სტარტის მოლოდინში. წინა პლანზეა სსრ კავშირის სპრინტერთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი რ. ვარგაშკინი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

სამი დღე ფალავანთა კლუბში

4-6 მაისს ფალავანთა კლუბში ჩატარდება „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ამ საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის, დასავლეთ ციმბირის, ყაზახეთის, ოქტომბრის, ბალტიისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, შუა აზიისა და სამხრეთის სავზაო საბჭოების უძლიერესი ათლეტები.

ფალავანთა კლუბის ხალიჩაზე გამოვლენ საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები — ლ. თედიაშვილი, ნ. მოდებაძე, რ. დოგორჯგინიძე, ბ. და დ. უვარელაშვილები და სხვ.

შეხვედრები დილით 11 საათზე დაიწყება, საღამოს — 6 საათზე.

ამას წინათ ტირასპოლში (მოლდავეთის სსრ) გაიმართა საკავშირო რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. სახსარეზოდ თავი მოიყარეს 11 რესპუბლიკის კოლექტივებმა. გამარჯვებისთვის იბრძოდა საქართველოს უმაღლესი ოსტატობის № 1 სკოლის გოგონათა მხოლოდ ორი ნავი. უმესაკო ორადგილიანი გასაშლელი ნავებით შეჯიბრებაში მ. გვრიტიშვილი (მენიჩბე) და ლ. კახურაშვილი ფინიშთან პირველნი იყვნენ. მათ ერთკილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაცურეს (4.00,1). ცალავიკის ერთადგილიანი ნავი II ადგილზე გავიდა — 3.58,6.

მ. ზაქარეიშვილი.

* * *

სურათზე: ლ. კახურაშვილი და მ. გვრიტიშვილი დისტანციაზე.

ა. გოლშას ფოტო.

მოსკოვი დიდსეშლი კანდიდატია

16 ოქტომბერს ვენაში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომა, რომელიც გადაწყვეტს XXII ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის დავას. 31 მარტს, შუაღამისას, კანდიდატურების წამოყენების ვადა ამოიწურა. ამ დროისთვის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ხელთ მხოლოდ ორი განაცხადი ჰქონდა — საბჭოთა კავშირის დედაქალაქისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ქალაქის ლოს-ანჯელესისა.

ცხადია, მომავალი ოლიმპიადა ამ ორი ქალაქიდან ერთ-ერთში უნდა ჩატარდეს, მაგრამ კონკრეტულად ომელში? რომელ კანდიდატს უფრო მეტი შანსი აქვს? ახლა ამაზე დიდი ლაპარაკია სპორტულ სამყაროში. კითხვაზე პასუხს შუა შემოდგომაზე ვიტყობთ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უპირატესობას იმ ქალაქს მიანიჭებს, რომელიც ოლიმპიური იდეების უფრო ერთგულია, რომელსაც სპორტსმენთა ამ მსოფლიო ფორუმის კარგი მასპინძლობის მეტი შანსი აქვს.

ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლა მუდამ უშეღავათო იყო. მაგალითად, XI ოლიმპიადის მასპინძლობის სურვილი II ქალაქმა გამოთქვა, X ოლიმპიადის მოწყობა 14 ქალაქს უნდოდა (მეორე მსოფლიო ომის გამო თამაშები არ ჩატარებულა), 1952 და 1956 წლების ოლიმპიადების ჩატარებაზე პრეტენზიას 10-10 ქალაქი აცხადებდა, XVII ოლიმპიადის გამართვა 15 ქალაქს სურდა.

მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კანდიდატების საბოლოო შერჩევაში თავის პრინციპებს არასოდეს ღალატობდა და უპირატესობას მორიგეობით ანიჭებდა იმ კონტინენტისა თუ ქვეყნის ქალაქებს, სადაც ოლიმპიადა მანამდე გამართული არ იყო. მაგალითად, XV ოლიმპიადის ცენტრ ჰელსინკიდან XVI ოლიმპიადამ მელბურნში გადაინაცვლა, შემდეგ ოლიმპიადას კი რომმა უმასპინძლა. იქიდან ოლიმპიური დროშა ტოკიოს ეწვია, 1968 წელს ოლიმპიადა მექსიკოში ჩატარდა, 1972 წელს მიუნხენში, იქიდან კი თამაშების ცენტრი ისევ ამერიკის კონტინენტზე გადავიდა — XXI ოლიმპიადა კანადის ქალაქ მონრეალში ჩატარდება.

სოკ-ს ქალაქების შერჩევის ოლიმპიური პრინციპი დიდი ხანია არ დაურღვევია და, ვფიქრობთ, არც 1980 წლისთვის უღალატებს ტრადიციას: მონრეალის მერე ოლიმპიადას ისევ ამერიკის კონტინენტზე არ დანიშნავს. თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ლოს-ანჯელესი 1932 წელს უკვე იყო X ოლიმპიადის ცენტრი (მაშინ თამაშებში 38 ქვეყნის 1 408 სპორტსმენი მონაწილეობდა), ახლა მას გამარჯვების ნაკლები შანსი უნდა ჰქონდეს.

განა ოლიმპიური პრინციპის დაცვა არ იყო, რომ 1976 წლის თამაშების მასპინძლობა მონრეალს ხვდა? თამაშების ჩატარება მოსკოვსაც სურდა, მაგრამ მას უარი მხოლოდ იმიტომ უთხრეს, რომ წინა ოლიმპიადაც ევროპის კონტინენტზე გაიმართა.

ახლა მოსკოვს ის უპირატესობაც აქვს, რომ სსრ კავშირში თამაშები არასოდეს ჩატარებულა, თუმცა საბჭოთა ქვეყანას საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში დიდი ხანია მოწიხავე პოზიციები უკავია.

ლოს-ანჯელესის ხელისუფალნი მორიგი ოლიმპიადის მათს ქალაქში გამართვას დაჟინებით იმიტომაც მოითხოვენ, რომ სურთ ეს ღონისძიება ქალაქის 200 წლისთავს მიუძღვნან. სოკ-ის პრინციპებს ესეც ეწინააღმდეგება: „ოლიმპიური თამაშები არავითარ სხვა მიზნებს (პროპაგანდა, ვაჭრობის განვითარება და ა. შ.) არ ემსახურება, თუ არა ოლიმპიური მოძრაობის ინტერესების განვითარებას".

ლოს-ანჯელესის გამარჯვების იქედი თვით ამ ქალაქის მესვეურებსაც არა აქვთ. ამას წინათ საქალაქო მრჩეველმა ჯ. ფერარომ აღნიშნა: „ლოს-ანჯელესი და მოსკოვი 1976 წლის თამაშების მასპინძლობის კანდიდატებიც იყვნენ, მაგრამ დავა კანადის ქალაქ მონრეალის სასარგებლოდ ალბათ იმიტომაც გადაწყდა, რომ იგი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ნეიტრალური იყო.

ახლა მოსკოვს მეტი შანსი აქვს. 1976 წლის თამაშები ხომ ამერიკის კონტინენტზე ტარდება. მაშასადამე, მომდევნო თამაშები სხვა კონტინენტის საკუთრებაა. თუ ლოს-ანჯელესმა ამ „არჩევნებში" ვერ გაიმარჯვა, ეჭვი არ არის იგი თავის კანდიდატურას 1984 წლისთვისაც წამოაყენებს".

მოსკოვის სასარგებლოდ სხვა რა არგუმენტები მეტყველებს? 1376 წლის თამაშების მასპინძლად მისი კანდიდატურის წამოყენება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოთა ხალხს სურს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან მეგობრულად ცხოვრობდეს და თანამშრომლობდეს. მოსკოვს XXI ოლიმპიადის ცენტრად მონრეალის არჩევის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა და მორიგი თამაშებისთვის პირველმა წამოაყენა თავისი კანდიდატურა.

„საბჭოთა კავშირის დედაქალაქი დღესვე მზადაა უმასპინძლოს ისეთ გრანდიოზულ ღონისძიებას, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები!" — ასეთია მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპორტულ მოღვაწეთა აზრი. მოსკოვმა ხომ სანიმუშოდ ჩაატარა მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალი და სპორტული თამაშები, უნივერსიადა, აქ ხომ ბევრჯერ გამართულა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები.

მოსკოვს აქვს 59 სტადიონი, 1311 ტანვარჯიშული დარბაზი, 29 აუზი, 770 კალათბურთისა და 1060 ფრენბურთის მოედანი, 182 ჩოგბურთის კორტი, 329 ფეხბურთის მინდორი, 372 მძლეოსნური ბილიკი და სექტორი, სულ საბჭოთა კავშირის დედაქალაქი ითვლის 5475 თანამედროვე ტიპის სპორტულ ნაგებობას, რომელთა ტრიბუნები ერთდროულად მილიონზე მეტ მაყურებელს იტევს. მარტო მსოფლიოში ცნობილ ლენინის სახელობის სტადიონზე 103 ათასი ადგილია, სპორტის სასახლეში — 12000. ძმები ზნამენსკების მძლეოსნური მანეჟი, ნიჩბოსნობის ხელოვნური არხი მსოფლიოში საუკეთესო ნაგებობებია.

ჩატარდება თუ არა მოსკოვში ოლიმპიადა, სპორტული ბაზები მაინც ინტენსიურად შენდება. მარტო წელიწადს ამ საქმეს რამდენიმე მილიონი მანეთი მოხმარდება.



● ბრაზილიური გაზეთები იტყობინებიან, რომ ამ ქვეყანაში შეიძლება გამოჩნდეს პელეს ღირსეული შემცვლელი. წერენ ამ ფეხბურთელის სახელსაც — ადემირ და გუია. ეს ქერათმიანი (!) მულატი ფენომენალურად თამაშობს — ასე ამტკიცებენ სპეციალისტები. იგი ტანმაღალია, მოძრავი, ძალზე სწრაფი, შესანიშნავად ხედავს მინდორს, აქვს უძლიერესი დარტყმა და ა. შ. წერენ, რომ ჩვეულებრივი, „მშვიდობიანი" გზით წაართვა ბურთი ადემირს, უაღრესად რთული საქმეა. მას წარმოუდგენელი რეაქცია აქვს. ადემირს მწვრთნელმა ზაგალომ ჩააცვა მაისური 10 ნომრით და ამით ყველაფერი თქვა.

საინტერესოა ისიც, რომ ადემირი ძველი ფეხბურთელის — დომინგოს და გუიას შვილია, რომელიც 30-იან წლებში საუკეთესო მცველად ითვლებოდა ბრაზილიაში.

● შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი ვ. ორმონდი კაიროში იმყოფებოდა, სადაც დაესწრო აფრიკის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩს ზაირისა და ზამბიის გუნდებს შორის. გლაზგოში დაბრუნების შემდეგ ორმონდმა ილაპარაკა ზაირის ნაკრებზე:

— მე სრულიადაც არ მინდა ჩემმა ფეხბურთელებმა გული დაიმშვიდონ მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ზაირის ნაკრები რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს. შოტლანდიის პირველი ლიგის რომელიც გნებავთ გუნდი იოლად დაამარცხებს ზაირელებს. მეკარე აშკარად სუსტია, ნახევარდაცვაში გამოირჩეოდნენ მხოლოდ კილბონგე და მანა, ავრეთვე, ცენტრალური მცველი ბვანგა და გუნდის კაპიტანი კიდუმუ. დანარჩენ ფეხბურთელებზე კარგს ვერაფერს ვიტყვი.

ფინალისტთა საქმეები

წლებში საუკეთესო მცველად ითვლებოდა ბრაზილიაში.

● შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი ვ. ორმონდი კაიროში იმყოფებოდა, სადაც დაესწრო აფრიკის ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩს ზაირისა და ზამბიის გუნდებს შორის. გლაზგოში დაბრუნების შემდეგ ორმონდმა ილაპარაკა ზაირის ნაკრებზე:

— მე სრულიადაც არ მინდა ჩემმა ფეხბურთელებმა გული დაიმშვიდონ მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ზაირის ნაკრები რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს. შოტლანდიის პირველი ლიგის რომელიც გნებავთ გუნდი იოლად დაამარცხებს ზაირელებს. მეკარე აშკარად სუსტია, ნახევარდაცვაში გამოირჩეოდნენ მხოლოდ კილბონგე და მანა, ავრეთვე, ცენტრალური მცველი ბვანგა და გუნდის კაპიტანი კიდუმუ. დანარჩენ ფეხბურთელებზე კარგს ვერაფერს ვიტყვი.

სექტემბერსა და ოქტომბერში

ოტავა, 30 აპრილი. რამდენიმე წელია ერთმანეთს არ შეხვედრიან სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა გუნდები. მხოლოდ გასული, 1973 წელი აღმოჩნდა გამონაკლისი, როცა კანადაში სტუმრად იყო საბჭოთა ეროვნული გუნდი, რომელმაც რამდენიმე ამხანაგური მატჩი გაართა ადგილობრივ პროფესიულ გუნდებთან და წარმატებითაც ითამაშა.

და აი, დაიბეჭდა ამ ორი ქვეყნის გუნდების მომავალი შეხვედრების ჩატარების ცნობა. ტორონტომი გამართულ პრეს-კონფერენციაზე „ჰოკეი-კანადის" ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ დ. ფიშერმა განაცხადა, რომ შემოდგომაზე განზრახულია ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდის შეხვედრები საბჭოთა სპორტსმენებთან.

ფიშერმა თქვა, რომ კანადის გუნდის მწვრთნელი ალბათ იქნება „ტორონტო ტოროსის" დამრიგებელი ბ. ჰარისი, რომელიც ორი წლის წინათ წვრთნიდა შვეიცის ნაკრებს. მოსალოდნელია, რომ კანადის გუნდში შეიყვანონ ცნობილი ჰოკეისტები ბ. ჰალი, პ. ჰედერსონი, რომელიც ფ. ესპოზიტოსთან ერთად აღიარებულია 1972 წლის კანადის საუკეთესო მოთამაშედ, აგრეთვე, გ. ჰოუი, ფ. მახოვლიჩი, მ. უოლტონი, პ. სტეპლტონი, კ. დრაიდენი, ჯ. ჩივერსი. კანადელებს განზრახული აქვთ ითამაშონ 4 მატჩი შინ სექტემბრის მეორე ნახევარში და 2 — მოსკოვში, ოქტომბრის დასაწყისში. სსრ კავშირ—კანადის ჰოკეისტთა გუნდების შეხვედრათა სერიების ჩატარების თაობაზე მხარეები საბოლოოდ შეთანხმდებიან სტენლის თასის ფინალური მატჩის დროს, რომელზეც საბჭოთა ჰოკეის წარმომადგენლებიც ჩავლენ.

ესტუმრებიან იაპონიას

მოსკოვი, 30 აპრილი. ხვალ სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ეროვნული გუნდი გაემგზავრება „ამომავალი მზის ქვეყანის" დედაქალაქ ტოკიოში, სადაც გამართავს რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას ადგილობრივ გუნდებთან. ეს იქნება საბჭოთა ფრენბურთელების, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების გენერალური რეპეტიცია მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

36-ე საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ნაკრების მწვრთნელებმა გ. ახელედიანმა და ვ. ტიურინმა შეარჩიეს 13 ფრენბურთელი. ესენი არიან: ნ. ერიომინა, ე. ნაზარენკო, ლ. მელეშკო (ყველა — ვოროშილოვგრადი), ლ. ჩერნიშოვა, მ. მილოვიდოვა (ორივე — ცსკა), ლ. შჩეტინინა, ლ. ბერგენი (ორივე — მოსკოვის „დინამო"), ლ. ოსადჩაია, ტ. ბელოუსი (ორივე — კიევი), ი. რისკალა (ბაქო), ვ. დუიუნოვა (ტაშკენტი), ტ. გონობობლევა და ლ. ბოროზნა (ორივე — ლენინგრადი).

გაიფიცნენ...

წრიულ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპის მონაწილე ოცდაშვიდმა პროფესიონალმა მოტოციკლისტმა უარი თქვა ნიურბურგრინგში (გფრ) სტარტზე გამოსვლაზე. ასეთი ბოიკოტის საფრთხე სხვა დროსაც ყოფილა, მაგრამ შეჯიბრებათა ორგანიზატორები ახერხებდნენ საქმის მოგვარებას. ამჯერად გაფიცვა მოეწყო, ვინაიდან ორგანიზატორებმა არ დააკმაყოფილეს მრბოლელთა მოთხოვნა, რომ ტრასის გასწვრივ, წრის ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე, თივის კიდევ 5 ათასი შეკვრა დაეწყოთ. ეს მოთხოვნა უსაფუძვლო როდი იყო. ერთ-ერთი საწვრთნელი ვარჯიშის დროს ინგლისელი ბილ ჰენდერსონი ლითონის ღობეს მიაწყდა, სერიოზულად დაშავდა და საავადმყოფოში წაიყვანეს...

პროფესიონალი სპორტსმენები სულ უფრო ხშირად გამოდიან თავიანთი უფლებების დასაცავად. ისინიც ხომ ექსპლუატაციის ობიექტები არიან და თავიანთ დამქირავებლებს აძლევენ შემოსავალს, რომელიც ბევრად აღემატება ყველაზე დიდ ჰონორარს.

შოტლანდიის ცნობილი კლუბის „სელტიკის" ფეხბურთელები თავიანთი ლიგის სხვა მოთამაშეებთან ერთად მოითხოვენ, რომ ტელევიზიით მიღებული შემოსავლიდან გარკვეული პროცენტი სპორტსმენთა საპენსიო ფონდში შეიტანონ. დახავლეთში დღეს მატერიალურად თვით ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი ფეხბურთელებიც კი არ არიან დაზღვეული ხელმოკლეობისა და სიღატაკისგანაც კი. სწორედ ასეთ სიღატაკეში ცხოვრობს დღეს, მაგალითად, წარსულში ცნობილი ინგლისელი თავდამსხმელი ტომი ლაუტონი.

„სელტიკის" სპორტსმენებს სურთ გაფიცვა მოაწყონ მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ. მათ განაცხადეს, შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში მინდორზე გამოვალთ, მაგრამ ბურთს არ მივეკარებით, სანამ ჩვენი მოთხოვნების შესრულების გარანტიას არ მოგვცემენ.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

გაზეთ „ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 5 მაისს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

მსოფლიოს სპორტულ ბაზებზე

შეხვედრა. საქართველოს ჩემპიონატი. 3 მაისი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი). დასაწყისი 12 ს. **მოზარდთა პირველობა.** „დინამოს" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი). 17 ს.

ინდექს 86448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ბეჭდვა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04574